სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლა

ეკო-კლუბის დებულება 2024-2025 სასწავლო წელი

1. ზოგადი დებულება

1.1. ეკოკლუბის მისიაა: სოლიდარობა, თანამშრომლობა, პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი და ერთმანეთისადმი. მოსწავლეებში გარემოს დაცვითი უნარებისჩამოყალიბება/დახვეწა, ჯანსაღი ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდების აღზრდაში ხელშეწყობა.

1.2. ეკოკლუბის ხედვა: სკოლის და საზოგადოების დახმარება მდგრადი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გააზრებაში და გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირებაში. ადგილობრივი თემის და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების და განათლების ამაღლება. მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება, მათში ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა.მოსწავლეებში კვლევის, სინთეზის, ანალიზის, დისკუსიის უნარების გამოვლინება-გაღრმავება; მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენება და ადაპტირება; პრეზენტაციის უნარის ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრის უნარის გამოვლენა; წყვილებში, ჯგუფებსა და ინდივიდუალურად მუშაობის გამოცდილების მიღება-გაზიარება;

2. კლუბის მიზნები და ამოცანები:

2.1. ეკო კლუბის მიზანია გარკვეული წვლილი შეიტანოს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

2.2. ადგილობრივი თემის და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების და განათლების გაღრმავება;

2.3. გარემოს დაცვით ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

2.4. მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით
ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა.

2.5. მოსწავლეთათვის საკუთარი უნარების გამოხატვის შესაძლებლობების მიცემა;

2.6.მოზარდი თაობისთვის ახალი შესაძლებლობების მიცემის გაზიარების და პიროვნული ზრდის ხელშეწყობა.

2.7. პრეზენტაბელურობის, ურთიერთთანამშრომლობის, კომუნიკაბელურობის, მეტყველების, შემოქმედებითობის და სააზროვნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება;

2.8. პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რომლის წინაპირობაა კლუბში არსებული არაფორმალური გარემო;

2.9. კლუბი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ემსახურება კლუბის მიზნებს, ინტერესებს, ორიეტირებულია შედეგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. კლუბში გაწევრიანება

3.1. კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია;

3.2. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ამავე სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს;

3.3. კლუბის ყველა წევრს აქვს უფლება მონაწილეობდეს კლუბის სამუშაოების შეხვედრების პროცესებში;

3.4. კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, შეასრულოს კლუბის ხელმძღვანელის დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

3.5. კლუბი პასუხისმგებელია მისი წევრის მხოლოდ იმ უფლება-მოვალეობა-ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაზე, რომელიც დაკავშირებულია კლუბის საქმიანობასთან;

4. კლუბის მართვა და გადაწყვეტილების მიღება

4.1. კლუბს ჰყავს ხელმძღვანელი (მასწავლებელი) და მენტორი (მოსწავლე), რომელთა უფლებამოსილებაა ურთიერთთანამშრომლობით უხელმძღვანელონ კლუბის საქმიანობას, კლუბის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს;

4.3.კლუბის მენტორს ერთი სასწავლო წლის ვადით ნიშნავს კლუბის ხელმძღვანელი;

4.4. ეკოკლუბი უფლებამოსილია შეიმუშაოს ეკოსიგელები/ დიპლომები და დააჯილდოვოს ეკო მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებში აქტიურად ჩართული კლასები/მოსწავლეები.

5. კლუბის ხელმძღვანელის საქმიანობა

5.1. წარმართავს კლუბის საქმიანობას;

5.2. ხელმძღვანელობს და უძღვება სამუშაო შეხვედრებს;

5.3. წარმოადგენს კლუბს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

5.4. ისმენს კლუბის წევრების მოსაზრებებს, წინადადებებს;

5.5. კლუბის წევრებთან ერთად განსაზღვრავს ღონისძიებების დეტალურ გეგმას და საჭიროებებს;

5.6.უზრუნველყოფს საინფორმაციო კამპანიების,აქტივობების ორგანიზებას სხვადასხვა საკითხებზე;

6. კლუბის მუშაობა

6.1 კლუბი იკრიბება საჭიროების შემთხვევაში;

6.2. კლუბი მუშაობს წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმით;

6.3. კლუბის ხელმძღვანელი/მენტორი ინტერნეტ სივრცეში ეტაპობრივად ახდენს ეკოკლუბის შესახებ ინფორმაციის განთავსებას (სიახლეები,აქტივობები)

6.4. ეკოკლუბის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ ღონისძიებებში/აქტივობებში ჩართული,ამავე სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეუზღუდავია;

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლა

ეკოკლუბის სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი

№	აქტივობა	ჩატარების დრო	პასუხისმგებელი პირები
1	დებულების გაცნობა, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა	სექტემბერი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
2	ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია-კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირება	ოქტომბერი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
3	ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია-კონკურსის ფარგლებში გარემოს დაცვითი აქტივობების განხორციელება.	წლის განმავლობაში	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
4	სასკოლო აქტივობები-დასუფთავების აქცია,ნარჩენების შეგროვება,სკოლის ტერიტორიაზე გამწვანებითი ღონისძიებების მოწყობა,.	წლის განმავლობაში	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
5	მწვანე დღეების აღნიშვნა: ტყის საერთაშორისო დღე; წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე; დედამიწის დღე; დაცული ტერიტორიების კვირეული; გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე;	2025 წლის: 21 მარტი 22 მარტი 22 აპრილი 20-25 აპრილი 5 ივნისი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
	აქტიური თანამშრომლობა სკოლაში არსებულ კლუბებთან(მეწარმეობა, ჟურნალისტიკა,სამოქალაქო)	წლის განმავლობაში	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
6	ტრენინგების ჩატარება „მდგრადი განვითარების მიზნები“ ცნობიერების ამაღლების კუთხით სასკოლო საზოგადოებაში	წლის განმავლობაში	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები

7	თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასა და თემთან.	წლის განმავლობაში	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
8	გარემოსდაცვით ღონისძიებებში აქტიურად ჩართული კლასებისა და მოსწავლეების სპეციალური ეკოსიგელებით დაჯილდოება	წლის განმავლობაში	დირექცია,კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი და კლუბის წევრები
9	ვიზიტი ადგილობრივ მეწარმეებთან	მარტი-აპრილი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი,კლუბის წევრები.
10	ექსკურსია - კვერეთის აღკვეთილში	მაისი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი,კლუბის წევრები.
11	კლუბის საქმიანობის ფოტო და ვიდეო მასალის გამოქვეყნება სკოლის facebook-ის გვერდზე	წლის განმავლობაში	დირექცია, კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი,კლუბის წევრები.
12	ეკოკლუბის შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა	ივნისი	კლუბის ხელმძღვანელი,მენტორი,კლუბის წევრები.